



კოლეჯი ბარაკონი

1992 წლიდან

2022 წლის სამოქმედო გეგმის
შესრულების ანგარიში

სარჩევი

შესავალი.....	3
სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება.....	4
სტრატეგიული მიზანი 2 - პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა.....	10
სტრატეგიული მიზანი 3 - კოლეჯის მართვისა და ადამიანური რესურსის განვითარებით ინსტიტუციური ხარისხის უზრუნველყოფა.....	26
სტრატეგიული მიზანი 4 - კოლეჯის ცნობადობის გაზრდა და ექსტრაკურიკულური აქტივობების ორგანიზება.....	34
სტრატეგიული მიზანი 5 - მატერიალური რესურსის განვითარება.....	45
დასკვნა.....	54
2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის შემუშავებაში ჩართული პირები.....	54

შესავალი

საანგარიშო პერიოდში კოლეჯი თავის საქმიანობას ახორციელებს სტრატეგიული განვითარების გეგმის (2021-2027) შესაბამისად. სტრატეგიული განვითარების გეგმაზე დაფუძნებით შემუშავებული სამოქმედო გეგმა შედგება 5 სტრატეგიული მიზნისგან, რომლებიც თავის მხრივ მოიცავენ 20 ამოცანასა და 56 აქტივობას. სამოქმედო გეგმის მიხედვით შემდეგი სტრატეგიული მიზნებია გამოყოფილი:

- შრომის ბაზარზე ორიენტირებული პროგრამების შემუშავება, დამატება;
- პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა;
- კოლეჯის მართვისა და ადამიანური რესურსის განვითარებით ინსტიტუციური ხარისხის უზრუნველყოფა;
- კოლეჯის ცნობადობის გაზრდა და ექსტრაკურიკულური აქტივობების ორგანიზება;
- მატერიალური რესურსის განვითარება.

აღნიშნული ანგარიშით შეფასებულია 2022 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების ხარისხი. აქტივობების შესრულება ხელს შეუწყობს კოლეჯის პროგრამული და ინსტიტუციური ხარისხის გაუმჯობესებას.

სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება

სტრატეგიული მიზანი 1 - შრომის ბაზარზე ორიენტირებული პროგრამების შემუშავება, დამატება

2022 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით შრომის ბაზარზე ორიენტირებული პროგრამების შემუშავება, დამატება არის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანი, რომლის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული იყო 2 ამოცანის ფარგლებში 8 აქტივობის განხორციელება.

ამოცანა 1 - ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, დამატება

<i>აქტივობა 1 - სხვადასხვა უწყებების მიერ განხორციელებული შრომის ბაზრის კვლევის შედეგების მოძიება და გაცნობა</i>				
აქტივობის მოკლე აღწერა	სხვადასხვა უწყებების მიერ განხორციელებული შრომის ბაზრის კვლევის შედეგების გაცნობა წარმოადგენს სტრატეგიული მიზნის ერთ-ერთ აქტივობას.			
მთავარი მიზანი	ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება			
ინდიკატორი	<ul style="list-style-type: none"> დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამა 			
სავარაუდო ვადა	2022 წელი			
მიღწეული შედეგები	კოლეჯის მიერ იგეგმებოდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატება, თუმცა მსოფლიოში არსებულმა COVID პანდემიამ განაპირობა ის, რომ ვერ დაიწყო პროგრამის დამატებაზე მუშაობა. შესაბამისად, სხვადასხვა უწყებების მიერ განხორციელებული შრომის ბაზრის კვლევის შედეგების მოძიების საჭიროება არ დამდგარა.			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
				✓
სამომავლო გეგმები				

აქტივობა 2 - მოძიებული კვლევის შედეგების საფუძველზე, დასამატებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის მიზანშეწონილობის დასაბუთების შემუშავება

აქტივობის მოკლე აღწერა	მოძიებული კვლევის შედეგების საფუძველზე, დასამატებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტის შემუშავება წარმოადგენს სტრატეგიული მიზნის ერთ-ერთ აქტივობას.			
მთავარი მიზანი	ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება			
ინდიკატორი	<ul style="list-style-type: none"> დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამა 			
სავარაუდო ვადა	2022 წელი			
მიღწეული შედეგები	კოლეჯის მიერ იგეგმებოდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატება, თუმცა მსოფლიოში არსებულმა სიტუაციამ განაპირობა ის, რომ ვერ დაიწყო პროგრამის დამატებაზე მუშაობა. შესაბამისად, ერთის მხრივ არ დადგა სხვადასხვა უწყების მიერ განხორციელებული შრომის ბაზრის კვლევის შედეგების მოძიების, ხოლო მეორეს მხრივ დასამატებელი პროგრამისთვის მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტის შემუშავების საჭიროება.			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
				✓
სამომავლო გეგმები				

აქტივობა 3 - ხელშეკრულებების /მემორანდუმების შემუშავება /გაფორმება პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით.

აქტივობის მოკლე აღწერა	პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით ხელშეკრულებების/მემორანდუმების შემუშავება/გაფორმება წარმოადგენს სტრატეგიული მიზნის ერთ-ერთ აქტივობას.			
მთავარი მიზანი	ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება			

ინდიკატორი	<ul style="list-style-type: none"> დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამა 			
სავარაუდო ვადა	2022 წელი			
მიღწეული შედეგები	<p>მსოფლიოში არსებულმა ეპიდ. სიტუაციამ განაპირობა ის, რომ ვერ დაიწყო პროგრამის დამატებაზე მუშაობა. შესაბამისად, ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, ხელშეკრულებების /მემორანდუმების შემუშავება /გაფორმების საჭიროება არ დამდგარა.</p>			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
				✓
სამომავლო გეგმები				

აქტივობა 4 - პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის პროექტების შემუშავება ან/და პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზნით, მასში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება

აქტივობის მოკლე აღწერა	<p>პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის პროექტების შემუშავება ან/და პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზნით, მასში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება და დირექტორისადმი წარდგენა დასამტკიცებლად წარმოადგენს სტრატეგიული მიზნის ერთ-ერთ აქტივობას.</p>
მთავარი მიზანი	<p>ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შემუშავება ან/და პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა.</p>
ინდიკატორი	<ul style="list-style-type: none"> დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამა
სავარაუდო ვადა	2022 წელი

მიღწეული შედეგები	კოლეჯის მიერ იგეგმებოდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის პროექტების შემუშავება ან/და პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა, თუმცა ამ მიმართულებით აქტივობები არ განხორციელებულა.			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
				✓
სამომავლო გეგმები				

<p>აქტივობა 5 - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის დამატების ან/და პროგრამაზე ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზნით განაცხადის წარდგენა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში და შესაბამისი გადაწყვეტილება</p>				
აქტივობის მოკლე აღწერა	<p>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განაცხადის წარდგენა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში და შესაბამისი გადაწყვეტილება წარმოადგენს სტრატეგიული მიზნის ერთ-ერთ აქტივობას.</p>			
მთავარი მიზანი	<p>ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება</p>			
ინდიკატორი	<ul style="list-style-type: none"> პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილება 			
სავარაუდო ვადა	<p>2022 წელი</p>			
მიღწეული შედეგები	<p>სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში საექთნო საქმის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზნით განაცხადის წარდგენა განხორციელდა 2021 წლის 30 ნოემბერს. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 2 მარტის N218524 გადაწყვეტილებით, საექთნო საქმის საგანმანათლებლო პროგრამაზე გაიზარდა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განისაზღვრა 180-ით.</p>			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			

სამომავლო გეგმები	
-------------------	--

ამოცანა 2 – მთელი სისტემის განმავლობაში სწავლის კონცეფციის ფარგლებში სხვადასხვა პროგრამების შემუშავება, დამატება

აქტივობა 1 - სხვადასხვა უწყებების მიერ განხორციელებული შრომის ბაზრის კვლევის შედეგების მოძიება და გაცნობა				
<i>აქტივობის მოკლე აღწერა</i>	სხვადასხვა უწყებების მიერ განხორციელებული შრომის ბაზრის კვლევის შედეგების მოძიება და გაცნობა წარმოადგენს სტრატეგიული მიზნის ერთ-ერთ აქტივობას.			
<i>მთავარი მიზანი</i>	მოკლევადიანი პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავება და დანერგვა			
<i>ინდიკატორი</i>	<ul style="list-style-type: none"> დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამები 			
<i>სავარაუდო ვადა</i>	2022 წლის პირველი ნახევარი			
<i>მიღწეული შედეგები</i>	მსოფლიოსში არსებულმა სიტუაციამ განაპირობა ის, რომ კოლეჯის მიერ არ განხორციელებულა შრომის ბაზრის კვლევის შედეგების მოძიება, რომლის საფუძველზეც იგეგმებოდა პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავება.			
<i>შესრულების შეფასება</i>	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
				✓
<i>სამომავლო გეგმები</i>				

აქტივობა 2 - მომზადება-გადამზადების პროგრამების შემუშავება და დამტკიცება				
აქტივობის მოკლე აღწერა	მომზადება-გადამზადების პროგრამების შემუშავება და დამტკიცება წარმოადგენს სტრატეგიული მიზნის ერთ-ერთ აქტივობას.			
მთავარი მიზანი	მოკლევადიანი პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავება და დანერგვა			
ინდიკატორი	<ul style="list-style-type: none"> დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამები 			
სავარაუდო ვადა	2022 წელი			
მიღწეული შედეგები	მსოფლიოში არსებულმა ეპიდსიტუაციამ განაპირობა ის, რომ ამ ეტაპზე კოლეჯის მიერ არ განხორციელებულა პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავება.			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
				✓
სამომავლო გეგმები				

აქტივობა 3 - პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მოსაპოვებლად განაცხადის წარდგენა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში				
აქტივობის მოკლე აღწერა	პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მოსაპოვებლად განაცხადის წარდგენა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, წარმოადგენს სტრატეგიული მიზნის ერთ-ერთ აქტივობას.			
მთავარი მიზანი	მოკლევადიანი პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავება და დანერგვა			
ინდიკატორი	<ul style="list-style-type: none"> სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დადებითი გადაწყვეტილება პროგრამების განხორციელების შესახებ 			

სავარაუდო ვადა	2022 წლის პირველი ნახევარი			
მიღწეული შედეგები	ქვეყანაში და მსოფლიოში არსებული სიტუაციის გამო, არ დაწყებულა პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავება. შესაბამისად, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მოსაპოვებლად განაცხადი არ წარდგენილა.			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
				✓
სამომავლო გეგმები				

სტრატეგიული მიზანი 2 – პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა

2022 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა არის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანი, რომლის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულია 7 ამოცანის ფარგლებში 20 აქტივობა.

ამოცანა 1 – პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლების ხარისხის მონიტორინგი

აქტივობა 1 - მოდულებისთვის კალენდარული გეგმების შემუშავება/გადახედვა	
აქტივობის მოკლე აღწერა	კალენდარული გეგმების გადახედვა/შემუშავება წარმოადგენს სტრატეგიული მიზნის ერთ-ერთ აქტივობას.
მთავარი მიზანი	პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება
ინდიკატორი	<ul style="list-style-type: none"> შემუშავებული კალენდარული გეგმები
სავარაუდო ვადა	2022 წელი
მიღწეული შედეგები	ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, მოდულის განმახორციელებელი პირების მიერ სისტემატიურად

	<p>ხორციელდებოდა კალენდარული გეგმების შემუშავება. ერთწლიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის (საოფისე საქმე, ინფორმაციის ტექნოლოგია) სრულად შემუშავებულია კალენდარული გეგმები და მოდულის დაწყებამდე განხორციელდა მათი გადახედვა. გადაიხედა ფარმაციის (სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული კალენდარული გეგმებიც, ხოლო არ გადახედილა საოფისე საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კალენდარული გეგმები, გამომდინარე იქიდან, რომ ამ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტები არ გვყავს. საექტონო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის, რომლის სასწავლო ციკლი ჯერ არ დასრულებულა, კალენდარული გეგმები შემუშავებულია მიმდინარე და განვლილი მოდულებისთვის.</p>			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			
სამომავლო გეგმები				

<p>აქტივობა 2 - მოდულებისთვის შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება/გადახედვა</p>	
აქტივობის მოკლე აღწერა	<p>მოდულებისთვის შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება/გადახედვა წარმოადგენს სტრატეგიული მიზნის ერთ-ერთ აქტივობას.</p>
მთავარი მიზანი	<p>პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება</p>
ინდიკატორი	<ul style="list-style-type: none"> შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები
სავარაუდო ვადა	<p>2022 წელი</p>
მიღწეული შედეგები	<p>მოდულის განმახორციელებელი პირების მიერ, სისტემატიურად მიმდინარეობს შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება/გადახედვა. ხორციელდება როგორც სწავლის შედეგების ცალ-ცალკე შეფასება, ასევე რამდენიმე სწავლის შედეგისა ერთად, ერთი ინსტრუმენტით.</p> <p>მოდულის სწავლის შედეგის დადასტურებამდე მოდულის განმახორციელებლის მიერ შეფასების ინსტრუმენტი თანხმდება სხვა მოდულის განმახორციელებელთან ან პროგრამის კოორდინატორთან და</p>

	დირექტორის მოადგილესთან, რომლებიც წარმოადგენენ კოლეჯში შიდა შემმოწმებლებს.			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			
სამომავლო გეგმები				

აქტივობა 3 - მოდულების საკონტაქტო საათზე დასწრება				
აქტივობის მოკლე აღწერა	საკონტაქტო საათზე დასწრება წარმოადგენს სტრატეგიული მიზნის ერთ-ერთ აქტივობას.			
მთავარი მიზანი	პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება			
ინდიკატორი	<ul style="list-style-type: none"> ▪ საკონტაქტო საათზე დასწრების მაჩვენებელი ▪ შევსებული დასწრების კითხვარი 			
სავარაუდო ვადა	2022 წელი			
მიღწეული შედეგები	<p>საანგარიშო პერიოდის პირველ ნახევარში, მოდულების თეორიული ნაწილი ონლაინ რეჟიმში, Zoom პლატფორმის მეშვეობით მიმდინარეობდა, ხოლო მოდულების პრაქტიკული კომპონენტი და შეფასებები ხორციელდებოდა კოლეჯში. თითოეული მოდულის ფარგლებში, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ხორციელდებოდა მონიტორინგი. მოდულების ონლაინ ნაწილის მონიტორინგი მიმდინარეობდა უშუალოდ ლექციის მიმდინარეობისას და/ან ხდებოდა პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ ჩაწერილი აუდიო ან/და ვიდეომასალის მოსმენა.</p> <p>საკონტაქტო საათზე დასწრების კითხვარის ანალიზის შედეგები აისახა პროგრამების შეფასების კვლევის ანგარიშში.</p>			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			

სამომავლო გეგმები	
-------------------	--

აქტივობა 4 - პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მონიტორინგი				
აქტივობის მოკლე აღწერა	პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მონიტორინგი წარმოადგენს სტრატეგიული მიზნის ერთ-ერთ აქტივობას.			
მთავარი მიზანი	პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება			
ინდიკატორი	<ul style="list-style-type: none"> პრაქტიკის ობიექტებში საწარმოო პრაქტიკის მიმდინარეობის მონიტორინგი 			
სავარაუდო ვადა	2022 წელი			
მიღწეული შედეგები	პრაქტიკის ობიექტებზე მოდულის განმახორციელებელი პირების მიერ რეგულარულად მიმდინარეობდა საწარმოო პრაქტიკის მონიტორინგი. ზოგიერთ პროგრამაზე მონიტორინგში ჩართული იყვნენ შესაბამისი პროგრამის კოორდინატორებიც.			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			
სამომავლო გეგმები				

ამოცანა 2 - მთელი სისტემის განმავლობაში სწავლის კონცეფციის ფარგლებში პროგრამების სწავლების ხარისხის მონიტორინგი

აქტივობა 1 - პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამებისთვის შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება

აქტივობის მოკლე აღწერა	პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამებისთვის შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება წარმოადგენს სტრატეგიული მიზნის ერთ-ერთ აქტივობას.			
მთავარი მიზანი	პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება			
ინდიკატორი	<ul style="list-style-type: none"> შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები 			
სავარაუდო ვადა	2022 წელი			
მიღწეული შედეგები	გამომდინარე იქიდან, რომ პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელება არ დაწყებულა, მათთვის შეფასების ინსტრუმენტები არ შემუშავებულა.			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
				✓
სამომავლო გეგმები	-			

აქტივობა 2 - საკონტაქტო საათზე დასწრება				
აქტივობის მოკლე აღწერა	პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების ფარგლებში საკონტაქტო საათზე დასწრება წარმოადგენს სტრატეგიული მიზნის ერთ-ერთ აქტივობას.			
მთავარი მიზანი	პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება			
ინდიკატორი	<ul style="list-style-type: none"> საკონტაქტო საათზე დასწრების მაჩვენებელი შევისებული დასწრების კითხვარი 			
სავარაუდო ვადა	2022 წელი			
მიღწეული შედეგები	გამომდინარე იქიდან, რომ პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელება არ დაწყებულა, საკონტაქტო საათზე დასწრება არ განხორციელებულა.			

შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
				✓
სამომავლო გეგმები	-			

ამოცანა 3 – შეფასების სისტემის მონიტორინგი/ვერიფიკაცია

აქტივობა 1 - პროგრამების მიხედვით, ვერიფიკაციის ჯგუფების ჩამოყალიბება				
აქტივობის მოკლე აღწერა	პროგრამების მიხედვით, ვერიფიკაციის ჯგუფების ჩამოყალიბება წარმოადგენს სტრატეგიული მიზნის ერთ-ერთ აქტივობას.			
მთავარი მიზანი	პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება			
ინდიკატორი	<ul style="list-style-type: none"> დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ვერიფიკაციის ჯგუფები 			
სავარაუდო ვადა	2022 წლის პირველი ნახევარი			
მიღწეული შედეგები	დირექტორის 2022 წლის 24 ივნისის N75 ბრძანებით დამტკიცებულია 3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ვერიფიკაციის ჯგუფები.			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			
სამომავლო გეგმები	-			

აქტივობა 2 - ვერიფიკაციის დასკვნების შემუშავება	
აქტივობის მოკლე აღწერა	ვერიფიკაციის დასკვნების შემუშავება წარმოადგენს სტრატეგიული მიზნის ერთ-ერთ აქტივობას.

მთავარი მიზანი	პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება			
ინდიკატორი	<ul style="list-style-type: none"> შემუშავებული ვერიფიკაციის დასკვნები 			
სავარაუდო ვადა	2022 წელი			
მიღწეული შედეგები	დირექტორის 2022 წლის 24 ივნისის N75 ბრძანებით დამტკიცებულ ვერიფიკაციის ჯგუფებს და ჯგუფის თითოეულ წევრს დავალებული ჰქონდა 31 ივლისამდე ვერიფიკაციის დასკვნების შემუშავება. ჯგუფის თითოეული წევრის მიერ შემუშავებულია ვერიფიკაციის დასკვნები.			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			
სამომავლო გეგმები	-			

აქტივობა 3 - ვერიფიკაციის დასკვნების საფუძველზე ანგარიშის შემუშავება				
აქტივობის მოკლე აღწერა	ვერიფიკაციის დასკვნების საფუძველზე ანგარიშის შემუშავება წარმოადგენს სტრატეგიული მიზნის ერთ-ერთ აქტივობას.			
მთავარი მიზანი	პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება			
ინდიკატორი	<ul style="list-style-type: none"> შემუშავებული ვერიფიკაციის ანგარიში 			
სავარაუდო ვადა	2022 წელი			
მიღწეული შედეგები	ვერიფიკაციის დასკვნების საფუძველზე შემუშავდა ვერიფიკაციის ანგარიში, რომელიც წარედგინა დირექტორს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათით. ასევე, განზოგადებული სახით შედეგები ასახულია პროგრამების შეფასების კვლევის ანგარიშში. აღნიშნული დოკუმენტები, ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომია კოლეჯის ვებ-გვერდზე. ანგარიშში გაწერილი მიგნებების გათვალისწინებით და კონფიდენციალურობის დაცვით,			

	გაწეულ იქნა კონსულტაცია რამდენიმე პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის.			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			
სამომავლო გეგმები	-			

ამოცანა 4 – პროგრამების ხარისხის შესაფასებლად კვლევების ორგანიზება და ჩატარება

<i>აქტივობა 1 - ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების მიხედვით, პროფესიული განათლების მასწავლებლების/პრაქტიკის ინსტრუქტორების, პროფესიული სტუდენტების გამოკითხვა</i>	
აქტივობის მოკლე აღწერა	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების მიხედვით, პროფესიული განათლების მასწავლებლების/პრაქტიკის ინსტრუქტორების, პროფესიული სტუდენტების გამოკითხვა წარმოადგენს სტრატეგიული მიზნის ერთ-ერთ აქტივობას.
მთავარი მიზანი	პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება
ინდიკატორი	<ul style="list-style-type: none"> გამოკითხული პროფესიული განათლების მასწავლებლების/პრაქტიკის ინსტრუქტორების, პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
სავარაუდო ვადა	2022 წელი
მიღწეული შედეგები	აღნიშნული აქტივობის ფარგლებში განხორციელება პროფესიული განათლების მასწავლებლების/მოდულის განმახორციელებელი პირების და პროფესიული სტუდენტების გამოკითხვა. გამოკითხვა განხორციელდა ელექტრონულად Google Forms-ის მეშვეობით და კვლევაში მონაწილეობა მიიღო ინფორმაციის ტექნოლოგიის, საექთნო საქმის და ფარმაციის (სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების 46-მა პროფესიულმა სტუდენტმა და 24-მა პროფესიული განათლების მასწავლებელმა. კვლევის შედეგები ასახულია პროგრამების შეფასების კვლევის ანალიზში.

	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, საინფორმაციო შეხვედრაზე განხილულ იქნა, მიღებული მონაცემების საფუძველზე გამოკვეთილი მიგნებები. ანგარიში ასევე განთავსებულია კოლეჯის ვებ-გვერდზე.			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			
სამომავლო გეგმები	-			

აქტივობა 2 - ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების მიხედვით, დამსაქმებელთა გამოკითხვა				
აქტივობის მოკლე აღწერა	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების მიხედვით, დამსაქმებელთა გამოკითხვა წარმოადგენს სტრატეგიული მიზნის ერთ-ერთ აქტივობას.			
მთავარი მიზანი	პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება			
ინდიკატორი	<ul style="list-style-type: none"> გამოკითხულ დამსაქმებელთა რაოდენობა 			
სავარაუდო ვადა	2022 წელი			
მიღწეული შედეგები	<p>აღნიშნული აქტივობის განხორციელება დაიწყო სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ ვადებში. გამოკითხვა განხორციელდა ელექტრონულად - Google Forms-ის მეშვეობით და მონაწილეობა მიიღო 10 პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელმა. მათ შორის, 2 რესპონდენტი წარმოადგენდა ფარმაციის (სააფთიქაო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პარტნიორ ორგანიზაციას, ხოლო დანარჩენი საექთნო საქმის პროფესიული პროგრამის პარტნიორ დაწესებულებებს.</p> <p>შემუშავებული კვლევის ანგარიში განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე.</p>			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			

სამომავლო გეგმები	-
-------------------	---

აქტივობა 3 - ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების მიხედვით, კვლევის სამიზნე ჯგუფებიდან მიღებული მონაცემების ანალიზი და ანგარიშის/ანგარიშების შემუშავება.

აქტივობის მოკლე აღწერა	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების მიხედვით, მიღებული მონაცემების ანალიზი/ანგარიშის შემუშავება წარმოადგენს სტრატეგიული მიზნის ერთ-ერთ აქტივობას.			
მთავარი მიზანი	პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება			
ინდიკატორი	<ul style="list-style-type: none"> შემუშავებული კვლევის ანგარიში 			
სავარაუდო ვადა	2022 წელი			
მიღწეული შედეგები	საანგარიშო პერიოდში განხორციელება პროფესიული განათლების მასწავლებლების/მოდულის განმახორციელებელი პირების, პროფესიული სტუდენტების და პარტნიორი დაწესებულებების გამოკითხვა. გამოკითხვა განხორციელდა ელექტრონულად - Google Forms-ის მეშვეობით. გამოკითხვებიდან მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე, შემუშავდა კვლევის ანგარიშები, რომლებიც განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე.			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			
სამომავლო გეგმები				

ამოცანა 5 – კურსდამრთავრებულთა კვლევის ორგანიზება და ჩატარება

აქტივობა 1 - კურსდამრთავრებულთა გამოკითხვა

აქტივობის მოკლე აღწერა	კურსდამთავრებულთა გამოკითხვა წარმოადგენს სტრატეგიული მიზნის ერთ-ერთ აქტივობას.			
მთავარი მიზანი	პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება			
ინდიკატორი	<ul style="list-style-type: none"> გამოკითხულ კურსდამთავრებულთა რაოდენობა 			
სავარაუდო ვადა	2022 წელი			
მიღწეული შედეგები	2022 კურსდამთავრებულთა გამოკითხვა ჩატარდა სისტემატიზირებულად. პროცესს ორგანიზება გაუწია პროფესიული უნარების სააგენტომ. შეიქმნა ელექტრონული პორტალი, რომელზეც დარეგისტრირდნენ კოლეჯებიდან კოორდინატორები. კითხვარის შევსებისთვის განისაზღვრა ერთთვიანი ვადა და დასრულდა 2022 წლის 25 დეკემბერს.			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			
სამომავლო გეგმები				

აქტივობა 2 - კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი				
აქტივობის მოკლე აღწერა	კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი წარმოადგენს სტრატეგიული მიზნის ერთ-ერთ აქტივობას.			
მთავარი მიზანი	პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება			
ინდიკატორი	<ul style="list-style-type: none"> მიღებული მონაცემების დამუშავება/ანალიზი 			
სავარაუდო ვადა	2022 წელი			
მიღწეული შედეგები	სამოქმედო გეგმით გაწერილ ვადებში რესპოდენტებიდან მიღებული მონაცემების ანალიზი ვერ განხორციელდა, ვინაიდან პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ მონაცემთა დამუშავების ეტაპად განისაზღვრა 2023 წლის თებერვალი. მთელი ქვეყნის მასშტაბით, მონაწილეობა მიიღო 2020-2021 წლის კურსდამთავრებულთა 33%-მა, რაც დაახლოებით 3000			

რესპოდენტია.				
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
				✓
სამომავლო გეგმები				

აქტივობა 3 - კვლევის ანგარიშის შემუშავება				
აქტივობის მოკლე აღწერა	კვლევის ანგარიშის შემუშავება წარმოადგენს სტრატეგიული მიზნის ერთ-ერთ აქტივობას.			
მთავარი მიზანი	პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება			
ინდიკატორი	<ul style="list-style-type: none"> შემუშავებული კვლევის ანგარიში 			
სავარაუდო ვადა	2022 წელი			
მიღწეული შედეგები	გამომდინარე იქიდან, რომ პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ გამოკითხვიდან მიღებულ მონაცემთა დამუშავების ეტაპად განისაზღვრა 2023 წლის თებერვალი, ანალიზის შემუშავების ვადამ გადაიწია 2023 წლის პირველ ნახევარში.			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
				✓
სამომავლო გეგმები				

ამოცანა 6 – ბანთქვის მარკინგის შესწავლა

აქტივობა 1 - სასწავლო წლის განმავლობაში, სტატუსშეწყვეტილ/სტატუსშეჩერებულ პროფესიულ სტუდენტთა მარკინგის დადგენა

აქტივობის მოკლე აღწერა	სასწავლო წლის განმავლობაში, სტატუსშეწყვეტილ/სტატუსშეჩერებულ პროფესიულ სტუდენტთა მაჩვენებლის დადგენა წარმოადგენს სტრატეგიული მიზნის ერთ-ერთ აქტივობას.			
მთავარი მიზანი	პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება			
ინდიკატორი	<ul style="list-style-type: none"> სტატუსშეწყვეტილ/სტატუსშეჩერებულ პროფესიულ სტუდენტთა მაჩვენებელი 			
საგარეო ვადა	2022 წელი			
მიღწეული შედეგები	<p>საანგარიშო პერიოდში (2021-2022 სასწავლო წელი) კვლევა ჩატარდა „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად. კოლეჯში ჩარიცხვის უფლება მოიპოვა 120 აპლიკანტმა, მათ შორის 13 აპლიკანტი მეორადი მიღების წესით ჩაირიცხა. აღნიშნული აპლიკანტებიდან შვიდმა სწავლა დაიწყო ქართული ენის მოდულით.</p> <p>2021-2022 სასწავლო წლის განმავლობაში სულ 6-მა პროფესიულმა სტუდენტმა შეიჩერა სტატუსი (ფარმაციის (სააფთიაქო) - 3, საქონო საქმე - 2, ინფორმაციის ტექნოლოგია - 1). რაც შეეხება სტატუსის შეწყვეტას, 58 სტუდენტს შეუწყდა სტუდენტის სტატუსი. ყველა მათგანის ჩარიცხვის წლები, არ ემთხვევა საანგარიშო პერიოდს. საანგარიშო პერიოდში პროფესიული კვალიფიკაცია მიენიჭა, 5 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, 60 სტუდენტს.</p>			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			
სამომავლო გეგმები				

აქტივობა 2 - განთესვის საფუძვლების დადგენა და ანალიზის განხორციელება				
აქტივობის მოკლე აღწერა	განთესვის საფუძვლების დადგენა და ანალიზის განხორციელება წარმოადგენს სტრატეგიული მიზნის ერთ-ერთ აქტივობას.			
მთავარი მიზანი	პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება			

ინდიკატორი	▪ განთესვის საფუძვლების ანალიზი																			
სავარაუდო ვადა	2022 წელი																			
მიღწეული შედეგები	<p>საანგარიშო პერიოდისთვის (2021-2022 სასწავლო წელი) შემუშავდა ანგარიშის, რომელშიც გაწერილია სტატუსის შეწყვეტის საფუძვლები.</p> <div style="text-align: center;"> <p>სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლები</p> <table border="1"> <caption>სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლები</caption> <thead> <tr> <th>საფუძვლები</th> <th>რაოდენობა (დაახლოებით)</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td>კანონმდებლობით დადგენილი სხვა...</td> <td>3</td> </tr> <tr> <td>პროგრამის დასრულებიდან...</td> <td>3</td> </tr> <tr> <td>პროგრამის კრედიტების 40%-ის ან...</td> <td>33</td> </tr> <tr> <td>ძირითად ვადებში, კრედიტების 30%-ის...</td> <td>4</td> </tr> <tr> <td>სტატუსის შეჩერებისთვის...</td> <td>6</td> </tr> <tr> <td>ქართული ენის მოდულის...</td> <td>3</td> </tr> <tr> <td>სწავლის დასრულებიდან ორი კვირის...</td> <td>6</td> </tr> </tbody> </table> </div>				საფუძვლები	რაოდენობა (დაახლოებით)	კანონმდებლობით დადგენილი სხვა...	3	პროგრამის დასრულებიდან...	3	პროგრამის კრედიტების 40%-ის ან...	33	ძირითად ვადებში, კრედიტების 30%-ის...	4	სტატუსის შეჩერებისთვის...	6	ქართული ენის მოდულის...	3	სწავლის დასრულებიდან ორი კვირის...	6
საფუძვლები	რაოდენობა (დაახლოებით)																			
კანონმდებლობით დადგენილი სხვა...	3																			
პროგრამის დასრულებიდან...	3																			
პროგრამის კრედიტების 40%-ის ან...	33																			
ძირითად ვადებში, კრედიტების 30%-ის...	4																			
სტატუსის შეჩერებისთვის...	6																			
ქართული ენის მოდულის...	3																			
სწავლის დასრულებიდან ორი კვირის...	6																			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა																
	✓																			
სამომავლო გეგმები																				

ამოცანა 7 – სსსმ/შპმ პირებისთვის ადაპტირებული სწავლების მეთოდების განვითარება

<i>აქტივობა 1 - პროფესიული განათლების მასწავლებლების/ინსტრუქტორების კონსულტირება სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებით</i>	
აქტივობის მოკლე აღწერა	პროფესიული განათლების მასწავლებლების/ინსტრუქტორების კონსულტირება სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან დაკავშირებით წარმოადგენს სტრატეგიული მიზნის ერთ-ერთ აქტივობას.

მთავარი მიზანი	პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება			
ინდიკატორი	<ul style="list-style-type: none"> ინკლუზიური განათლების სპეციალისტის მიერ გაწეული კონსულტაციები 			
საგარეუდო ვადა	2022 წელი			
მიღწეული შედეგები	<p>სასწავლო პროცესის განმავლობაში სისტემატიურად ხორციელდებოდა სსსმ პროფესიული სტუდენტის ონლაინ ლექციებსა და კოლეჯში - პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასწრება. დაკვირვების მიზანი იყო სსსმ სტუდენტის:</p> <ul style="list-style-type: none"> ლექციებზე დასწრების აღრიცხვა; ჩართულობის ხარისხის განსაზღვრა; იგებდა თუ არა სტუდენტი ლექციაზე მიწოდებულ ინფორმაციას; ასრულებდა თუ არა პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ მიწოდებულ ინსტრუქციას; იცავდა თუ არა ქცევის წესებს; ასრულებდა თუ არა მიცემულ დავალებებს; ამყარებდა თუ არა კომუნიკაციას პროფესიული განათლების მასწავლებელთან და პროფესიულ სტუდენტებთან; შეეძლო თუ არა დამოუკიდებლად ან ჯგუფურად მუშაობა. <p>დაკვირვების შემდეგ გამოკვეთილი საჭიროებების შესაბამისად, პროფესიული განათლების მასწავლებლებს მიეწოდებოდათ უკუკავშირი და რეკომენდაციები სსსმ სტუდენტის სასწავლო პროცესში ჩართულობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.</p>			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			
სამომავლო გეგმები	-			

აქტივობა 2 - სსსმ და შშმ პირთა კონსულტირება

აქტივობის მოკლე აღწერა	სსსმ და შშმ პირთა კონსულტირება წარმოადგენს სტრატეგიული მიზნის ერთ-ერთ აქტივობას.
-------------------------------	--

მთავარი მიზანი	პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება			
ინდიკატორი	<ul style="list-style-type: none"> სსსმ და შშმ პირთა კონსულტირება პროფესიული განათლების მასწავლებლების/მოდულის განმახორციელებელი პირების/ინსტრუქტორების მიერ 			
სავარაუდო ვადა	2022 წელი			
მიღწეული შედეგები	სსსმ პროფესიული სტუდენტის ლექციებზე დაკვირვების და მასთან ინდივიდუალური საუბრებისას მიღებული ინფორმაციიდან გამომდინარე, მიმდინარეობდა რჩევების, რეკომენდაციების მიცემა. ასევე, მისთვის რეკომენდირებული სასწავლო სტრატეგიების შეთავაზება და გამოყენება.			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			
სამომავლო გეგმები	-			

აქტივობა 3 - ადაპტირებული სასწავლო რესურსების შემუშავება	
აქტივობის მოკლე აღწერა	ადაპტირებული სასწავლო რესურსების შემუშავება წარმოადგენს სტრატეგიული მიზნის ერთ-ერთ აქტივობას.
მთავარი მიზანი	პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება
ინდიკატორი	<ul style="list-style-type: none"> შემუშავებული ადაპტირებული რესურსები
სავარაუდო ვადა	2022 წელი
მიღწეული შედეგები	2022 წლის განმავლობაში ზოგიერთი მოდულის ფარგლებში შეიქმნა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ადაპტირებული სასწავლო რესურსი არ შექმნილა არცერთი მოდულის ფარგლებში, რადგან ამის საჭიროება არ დამდგარა. სტუდენტის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მას მიეწოდებოდა დამატებითი დამხმარე რესურსი თვალსაჩინო მასალის

	სახით, ჰქონდა დამატებითი დრო და/ან რეკომენდაციები მასალის უკეთესად ასათვისებლად.			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			
სამომავლო გეგმები	-			

სტრატეგიული მიზანი 3 – კოლეჯის მართვისა და ადამიანური რესურსის განვითარებით ინსტიტუციური ხარისხის უზრუნველყოფა

2022 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით კოლეჯის მართვისა და ადამიანური რესურსის განვითარებით ინსტიტუციური ხარისხის უზრუნველყოფა არის ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანი, რომლის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულია 3 ამოცანის ფარგლებში 8 აქტივობის განხორციელება.

ამოცანა 1 – რეგულაციების გადახედვა-გაუმჯობესება სტანდარტებთან შესაბამისობის მოყვანის მიზნით

<i>აქტივობა 1 - სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით რეგულაციების სისტემატიური გადახედვა</i>	
აქტივობის მოკლე აღწერა	სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით რეგულაციების სისტემატიური გადახედვა წარმოადგენს სტრატეგიული მიზნის ერთ-ერთ აქტივობას.
მთავარი მიზანი	კოლეჯის მართვისა და ადამიანური რესურსის განვითარება
ინდიკატორი	<ul style="list-style-type: none"> სტანდარტთან შესაბამისობით შემუშავებული რეგულაციები
სავარაუდო ვადა	2022 წელი
მიღწეული შედეგები	რეგულაციების გადახედვა-გაუმჯობესება სტანდარტთან შესაბამისობის მოყვანის მიზნით რეგულარულად მიმდინარეობდა.

	<p>საანგარიშო პერიოდში დამტკიცდა შემდეგი რეგულაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ დირექტორის 2022 წლის 26 აპრილის N48 ბრძანებით დამტკიცდა „შინაგანაწესი“, ხოლო იმავე ბრძანებით ძალადაკარგულად გამოცხადდა დირექტორის 2017 წლის 16 ნოემბრის N55 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი; ▪ დირექტორის 2022 წლის 28 აპრილის N50 ბრძანებით დამტკიცდა „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, ხოლო იმავე ბრძანებით ძალადაკარგულად გამოცხადდა დირექტორის 2021 წლის 12 აგვისტოს N54 ბრძანება; ▪ დამტკიცდა სტუდენტური კონფერენციის განხორციელების წესი (N76/30.06.2022); ▪ დირექტორის 2022 წლის 7 ნოემბრის N128 ბრძანებით დამტკიცდა „საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების ზოგადი წესი და პირობები“; ▪ დირექტორის 2022 წლის 7 ნოემბრის N129 ბრძანებით დამტკიცდა „შუალედური შეფასების წესი და პირობები“; ▪ დირექტორის 2022 წლის 7 ნოემბრის N130 ბრძანებით დამტკიცდა „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კოოპერაციული სწავლების სახით განხორციელებისას პრაქტიკის ობიექტის შეფასების კრიტერიუმები“. 			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
სამომავლო გეგმები	-			

აქტივობა 2 - სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით რეგულაციებში ცვლილებების განხორციელება

აქტივობის მოკლე აღწერა	სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით რეგულაციებში ცვლილებების განხორციელება წარმოადგენს სტრატეგიული მიზნის ერთ-ერთ აქტივობას.
მთავარი მიზანი	კოლეჯის მართვისა და ადამიანური რესურსის განვითარება
ინდიკატორი	<ul style="list-style-type: none"> ▪ სტანდარტთან შესაბამისობით შემუშავებული რეგულაციები
სავარაუდო ვადა	2022 წელი
მიღწეული შედეგები	<p>სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით რეგულაციებში ცვლილებების განხორციელება მუდმივად მიმდინარეობდა.</p> <p>საანგარიშო პერიოდში, ცვლილება განხორციელდა შემდეგ რეგულაციებში:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ დირექტორის 2022 წლის 15 მარტის N19 ბრძანებით ცვლილება შევიდა დირექტორის 2020 წლის 10 ივლისის N39 ბრძანებაში „ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა“ და ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. ▪ დირექტორის 2022 წლის 14 აპრილის N43 ბრძანებით ცვლილება შევიდა დირექტორის 2021 წლის 09 ივლისის N47 ბრძანებაში „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები“ და ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. ▪ დირექტორის 2022 წლის 18 აპრილის N46 ბრძანებით ცვლილება შევიდა დირექტორის 2021 წლის 02 ივნისის N30 ბრძანებაში „შეფასების უწყისის, განმეორებითი შეფასების უწყისისა და შეფასების უწყისის შემუშავების ინსტრუქცია“ და ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. ▪ დირექტორის 2022 წლის 7 ნოემბრის N131 ბრძანებით ცვლილება შევიდა დირექტორის 2022 წლის 28 აპრილის N50 ბრძანებაში „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ და ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. ▪ დირექტორის 2022 წლის 9 ნოემბრის N133 ბრძანებით ცვლილება შევიდა დირექტორის 2021 წლის 16 მარტის N12 ბრძანებაში

	<p>„ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესი“ და ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ დირექტორის 2022 წლის 25 ნოემბრის N145 ბრძანებით ცვლილება შევიდა დირექტორის 2019 წლის 10 ივნისის N32 ბრძანებაში „საგანმანათლებლო პროგრამებისთვის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის საწარმოო პრაქტიკის/ პრაქტიკული კომპონენტის გავლის ინსტრუქცია“ და ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. ▪ დირექტორის 2022 წლის ნოემბრის N133 ბრძანებით ცვლილება შევიდა დირექტორის 2021 წლის 16 მარტის N12 ბრძანებაში „ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესი“ და ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. ▪ დირექტორის 2022 წლის 30 დეკემბრის N160 ბრძანებით ცვლილება შევიდა დირექტორის 2022 წლის 28 აპრილის N50 ბრძანებაში „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ და ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. 			
შესრულების შეფასება	სრულად შესრულდა	უმეტესწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა
	✓			
სამომავლო გეგმები	-			

ამოცანა 2 – ადამიანური რესურსის მუშაობის შეფასება

აქტივობა 1 - ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად, ადამიანური რესურსის საქმიანობის შეფასება	
აქტივობის მოკლე აღწერა	ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად, ადამიანური რესურსის საქმიანობის შეფასება წარმოადგენს სტრატეგიული მიზნის ერთ-ერთ აქტივობას.
მთავარი მიზანი	კოლეჯის მართვისა და ადამიანური რესურსის განვითარება

ინდიკატორი	<ul style="list-style-type: none"> ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად განხორციელებული კვლევა 			
სავარაუდო ვადა	2022 წლის პირველი ნახევარი			
